საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №340

თბილისი „13“ 04 2017 წ.

,,2015-2016 სასწავლო წელს სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 08 აგვისტოს N618 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 აპრილის N356202 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2015-2016 სასწავლო წელს სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 08 აგვისტოს N618 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) ,,ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული 2015-2016 სასწავლო წელს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსანი მოსწავლეების (დანართი 1) სიიდან ამოღებულ იქნეს:

ა.ა) 358-ე და 359-ე გრაფები;

ა.ბ) 555-ე გრაფა;

ა.გ) 1408-ე გრაფა;

ა.დ) 1410-ე-1415-ე გრაფები;

ბ) ,,ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული 2015-2016 სასწავლო წელს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების (დანართი 2) სიიდან ამოღებულ იქნეს:

ბ.ა) 172-ე გრაფა;

ბ.ბ) 482-ე და 483-ე გრაფები;

ბ.გ) 485-ე და 486-ე გრაფები;
ბ.დ) 767-ე-773-ე გრაფები;
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

ლია გიგაური
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი